ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 482401212**
თარიღი:**12/01/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებისა და ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მმართველის 2024 წლის 11იანვრის №34/6 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2023 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 იანვრის №ბ48.48230135 ბრძანება.

3. კონტროლი ბრძანების შერულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (გ.ყურაშვილი)

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი